ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების
გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N39

სხდომის ჩატარების თარიღი: 2023 წლის 25 დეკემბერი, 15:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზ.N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობენ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე** და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, პაატა ლილუაშვილი, ელეონორა არჩაია, მარეხი ნიჟარაძე, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 15 წევრი.

არ ესწრებოდნენ: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დ.ნიშნიანიძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი **ვ.გობეჯიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის

ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თ. ბერიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მ.ხიდაშელი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მ. კუბლაშვილი,** აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპებ-ისა და შპს-ების ხელმძღვანელი პირები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ:** „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების მორიგ გაერთიანებულ სხდომას. კარგია, რომ ინტერესი გამოიხატა ბიუჯეტის განხილვის მიმართ, რასაც აქ წარმოდგენილი ფართო შემადგენლობაც ადასტურებს. მოგეხსენებათ, ბიუჯეტის პროექტის ახალი ვარიანტია წარმოდგენილი, რომელიც 15 მლნ ლარით არის გაზრდილი, ვიხილავთ ასევე რამდენიმე სხვა საკითხსაც. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა, გთხოვთ კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ დღის წესრიგს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

2.„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სიის დადგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;

4.ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ;

5.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ განმარტა: „სანამ ბატონ დავით მოვუსმენთ, მინდა მცირე განმარტება გავაკეთო წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც პოზიტიურად შეცვლილია: პირველ ვარიანტთან შედარებით შემოსულობები და გადასახდელები გაზრდილია 15,2 მლნ ლარით, ხოლო ხარჯები - 3,9 მლნ ლარით. შესაბამისად, მატება გვაქვს 2023 წლის ბიუჯეტის დასახელებულ პარამეტრებთანაც: შემოსულობებში - 16,3 მლნ ლარით, გადასახდელებში - 14 მლნ ლარით და ხარჯებში 11,7 მლნ ლარით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები თითქმის მთლიანად იქნა გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში, კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა დაფინანსება შემდეგი მუხლების მიხედვით: ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (3702,3 ათასი ლარი), მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (787,4 ათასი ლარი), სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძებები (520 ათასი ლარი).

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით დაფინანსება გაიზარდა შემდეგ მუხლებში:

- გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პირველ ვარიანტში იყო 594 ათასი ლარი, წარმოდგენილში არის 1054,5 ათასი ლარი);
- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია (პირველ ვარიანტში იყო 46 ათასი ლარი, წარმოდგენილში არის 700 ათასი ლარი);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-განვითარება (პირველ ვარიანტში იყო 1 მლნ ლარი ლარი, წარმოდგენილში არის 3.2 მლნ ლარი);

2024 წლის ბიუჯეტის ახალი ვარიანტით გათვალისწინებულია ხარჯები შემდეგი მიმართულებებით:

- მისასვლელი გზებისა და სასულეების მოწყობისათვის (მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და სასულეების გაწმენდა არის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაში, ხოლო სასულეების ექსპლოატაცია - სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის პროგრამაში);
- სპორტული მოედნებისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოვლა-პატრონობისთვის (პირველ ვარიანტში არაფერი ფიქსირდებოდა, წარმოდგენილში არის 2045 ათასი ლარი);
- სპორტულ-საგანმანათლებლო ააიპ-ებისათვის სპორტული ინვენტარის შეძენა; (პირველ ვარიანტში შესაბამისი ააიპ-ის ბიუჯეტი იყო 5825 ათასი ლარი, წარმოდგენილში არის 8006 ათასი ლარი);
- სპეცსერვისების დამლაგებლებისათვის, მათი სამსახურებრივი გადაადგილების მიზნით დაწესდება სამგზავრო შეღავათები.

ბიუჯეტის პროექტმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების რიგ მიმართულებებზეც გაითვალისწინა დაფინანსებები. კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისათვის (პირველ ვარიანტში არ იყო დაფინანსება, ხოლო წარმოდგენილში არის 350 ათასი ლარი); მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (პირველ ვარიანტში არ იყო დაფინანსება, წარმოდგენილში არის 350 ათასი ლარი); სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია (პირველ ვარიანტში არ იყო დაფინანსება, წარმოდგენილში არის 2045 ათასი ლარი). ნაწილობრივ გათვალისწინებულია ჩვენი შენიშვნა შესრულებული სამუშაოების სირთულის, მაღალი კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის მიხედვით, შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით, გადახედილიყო სახელფასო სარგოები ზოგიერთ პოზიციაზე, შესაბამისი ხარჯებით. წარმოდგენილმა პროექტმა ასევე გაითვალისწინა იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ზრდა 185 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, რაც გამოწვეული იყო დაზიანებული ფასადის შეკეთების და შენობის ნულოვანი, პირველი და მეორე სართულის რეკონსტრუქციის აუცილებლობით (პირველ ვარიანტში იყო 1465 ათასი ლარი, წარმოდგენილში არის 1650 ათასი ლარი); თვითმმართველობის სხდომების ტრანსლაციისას იმ მოწყვლადი ჯგუფისათვის, რომელიც საჭიროებს შინაარსის გაგებას ჟესტური ენით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შესაბამისი მაუწყებლობის მიერ სურდო თარგმანის დანერგვა, რისთვისაც აუცილებელი იყო შესაბამისი დაფინანსება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს საკითხიც გათვალისწინებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები. პროექტის ახალმა ვარიანტმა გაითვალისწინა ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" ღვარსადენების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ღვარსადენის

მოწყობისა და რეაბილიტაციის ნორმატივის გაორმაგება 30 მეტრიდან 60 მეტრამდე და ამისათვის გამოიყო დამატებითი ასიგნებები, რითაც გარკვეულ შეღავათს მიიღებს მოსახლეობა. მისასალმებელია, რომ ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში მაქსიმალურად აისახა დღევანდელი მდგომარეობით, მთავრობის დადგენილებებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი თანხები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მადლობას ვუხდით აღმასრულებელს გაწეული მუშაობისათვის. სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით დეტალურად ბატონი დავით ნიშნიანიძე მოგვახსენებს".

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დ. ნიშნიანიძე:** „მოგეხსენებათ, ბიუჯეტის პირველი ვარიანტი 15 ნოემბერს შემოვიტანეთ, რომელმაც 101 მლნ ლარი შეადგინა. შენიშვნების უმრავლესობა, როგორც ბატონმა ბექამ ბრძანა, გავითვალისწინეთ და წარმოვადგინეთ ახალი პროექტი 10 დეკემბერს, რომელიც 115 მლნ ლარს აღემატება. 2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 72310,8 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5770,0 ათასი ლარით. შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60310,8 ათასი ლარით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 12000,0 ათას ლარს. არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებელი შეადგენს 2241,2 ათას ლარს, აქედან 312,4 ათასი ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს, ხოლო 1928,8 ათასი ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებია. შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1270,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 7800,0 ათასი ლარის ოდენობით. შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 5560,0 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 15 მლნ ლარს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში არის შემდეგი: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 19292,9 ათასი ლარი; ეკონომიკური საქმიანობა - 5364,5 ათასი ლარი; გარემოს დაცვა - 11015,0 ათასი ლარი; საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 19703,5 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა - 2319,2 ათასი ლარი; დასვენება, კულტურა და რელიგია - 25949,5 ათასი ლარი; განათლება - 21398,0 ათასი ლარი; სოციალური დაცვა - 6538,4 ათასი ლარი. ჩამოთვლილი თანხებით ხდება დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამას დაემატება დაახლოებით 14 მლნ ლარი რგფ-დან, რითაც დაფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტები".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ბატონი **პ.ლილუაშვილი:** „ახალი ავტობუსების შეძენა თუ აისახა ბიუჯეტში?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **დ.ნიშნიანიძე:** „არა, რამდენადაც მათი შესყიდვა გრანტებით უნდა მოხდეს, ამისათვის უნდა დაიდოს საგრანტე ხელშეკრულება და შემდეგ აისახება შემოსავლებსა და ხარჯებში".

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „საკუთარ შემოსავლებში გვაქვს შემცირება ბოლო წლებში."

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **დ.ნიშნიანიძე:** „ეს ასე არ არის, რას გულისხმობთ საკუთარ შემოსავლებში?"

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ბ.მახარაძე:** „მე მოგახსენებთ ბატონო გიგა, 2022 წელს შემოსავლებმა შეადგინა 77,8 მლნ ლარი, 2023 წელს - 81,1 მლნ ლარი, ხოლო ამ პროექტით შეადგენს 90,4 მლნ ლარს".

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „კარგია, რომ განსაზღვრულია კალათბურთის მე-11 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია, რისთვისაც 4,7 მლნ ლარი დაიხარჯება, ეს თუ არის ბიუჯეტის პროექტში ასახული?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **დ.ნიშნიანიძე:** „ეს თანხა ამჟამად არ არის გათვალისწინებული".

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „ამის შესახებ შემდეგ საკითხში გვექნება მსჯელობა".

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „მიმაჩნია, რომ ბიუჯეტი პოლიტიკური დოკუმენტია და იგი მერმა უნდა წარმოადგინოს, ზოგადად, ბიუჯეტი პოლიტიკური თანამდებობის პირებმა უნდა გაგვაცნონ, მაინტერესებს, რატომ შემცირდა უფასო სასადილოებში საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯი და ახლა რას შეადგენს თანხა ერთ ბენეფიციარზე? ეს ხომ კალორაჟშიც აისახება გაჭირვებული ადამიანებისათვის".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ბატონი **ი.შენგელია:** „ბატონო გიგა, ეს თქვენი პირადი მოსაზრებებია, თუ ფრაქციის პოზიციას აფიქსირებთ?"

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „ეს არის პირადად ჩემი პოზიცია და არა ფრაქციის".

ააიპ „მადლიერების სახლის" ხელმძღვანელი ქალბატონი **თ.ბაკურაძე:** „ჩვენთან ბენეფიციართა რაოდენობა შემცირდა, შარშანაც იყო კლება 50 კაცით, ჩვენ გვაქვს დამატებითი სიებიც, რომელიც ასევე 84 კაციდან 17 კაცამდეა შემცირებული, თუკი მომართვიანობა მოიმატებს, ამისთვისაც მზად ვართ, ერთ ბენეფიციარზე ხარჯი 2,5 ლარს შეადგენს".

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „ასეთი გაზრდილი ფასების პირობებში ეს არაფერია, წყალწყალა წვნიანი და უვარგისი საკვები, მე ვამბობ, რომ ამ მიმართულებით ხარჯი უნდა გავზარდოთ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ბატონი **ი.შენგელია:** „მიმაჩნია, რომ ერთ ბენეფიციარზე საშუალო ხარჯის გათვლა არის სპეკულირების ნაწილი, არსებობს საბაზრო კვლევები და არსებული წესით ხდება პროდუქციის შესყიდვა, კალორაჟს ააიპ-ის ხელმძღვანელი არ ადგენს, თუ ეს გადასახედია, მივმართოთ ექსპერტებს".

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** "ადგილზე მივიდეთ და ვნახოთ მდგომარეობა".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ბატონი **ი.შენგელია:** „კი, ბატონო, მივიდეთ ადგილზეც, კარგია, რომ დღევანდელი სხდომა ტარდება გაფართოებული ფორმატით და მას საჯარო მოხელეები ესწრებიან, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების რეკომენდაციები მიეწოდოს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ბიუჯეტში ჰპოვებს ასახვას, მე მინდა რამდენიმე საკითხს შევეხო. პირველი: ინფრასტრუქტურის ნაწილში უკვე სერიოზული თანხაა ჩადებული, რომელსაც

კიდევ დაემატება, საჭირო იქნება საბინაო ინფრასტრუქტურის გამსხვილება და მოქალაქეთა მონაწილეობის წილის შემცირება. ამხანაგობების პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი ამ შემთხვევაში უნდა აიღოს თვითმმართველობამ, მნიშვნელოვანია მთავრობის, კერძოდ, პრემიერის მხარდაჭერა ფინანსური ინტერვენციის ნაწილში, პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაზე 100 მლნ ლარი დაიხარჯება. მეორე: 2024 წლის ბიუჯეტში ასევე გაჩნდება გენდერული ინდიკატორები, აქ არიან საჯარო მოხელეები, რომლებიც ამ პროცესში იყვნენ ჩართული და მადლობა მათ ამისათვის, მადლობა ქალაქის მერიას, რომელმაც გაითვალისწინა ჩვენი მოსაზრება და გადაუდებელი რეაგირების ბიუჯეტი 200 ათასი ლარიდან 450 ათას ლარამდე გაზარდა. აქვე მინდა მივმართო მოქალაქეებს, ამხანაგობებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს, იყვნენ უფრო აქტიურნი თავისუფალი ინიციატივების განსახორციელებელ პროგრამაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, მაჟორიტარებიც ჩავერთვებით, მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს, ბატონ იოსებს, რომელმაც ამ პროგრამის თანხა 1 მლნ ლარამდე გაზარდა".

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „მისასალმებელია გადაუდებელი დახმარების გაზრდა. ასევე კარგია, რომ მოქმედებს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა. მომავალში ალბათ უნდა ვიფიქროთ ერთჯერადი დახმარებების გაცემის წესის შეცვლაზეც".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-10 წევრი, წინააღმდეგი-გრიგოლ შუშანია, თავი შეიკავა-ელეონორა არჩაიამ, დავით ბახტაძემ და ნინო ბიბილეიშვილმა) დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M³ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის**

ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, რომელიც შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" თანამშრომლებს, რომლებიც მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას ისარგებლებენ 100%-იანი შეღავათით."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „მოგახსენებთ, რომ ბატონი ირაკლი შენგელიას ინიციატივა იყო, მოქალაქეებს, რომლებიც ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე და წესრიგზე არიან პასუხისმგებელნი, უფასოდ ემგზავრათ მუნიციპალური ტრანსპორტით, მადლობა ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ საკითხის სისრულეში მოყვანისათვის."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სიის დადგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, მოგახსენებთ შევიდა ცვლილება სამშენებლო კოდექსში, დაემატა წესი, რომ ნებართვის გაცემის დროს უნდა შეთანხმდეს მწვანე ნარგავების მოწყობა ტერიტორიაზე, K3-ის ფარგლებში, სადაც ტერიტორიის 0,3 გამოყოფილია სავალდებულო განაშენიანებისათვის, გამომდინარე აქედან, K3-ით გამოყოფილ ტერიტორიებზე ვითანხმებთ უკვე პროექტს, დაევალა მენაშენეს შეათანხმოს, როგორც შენობა-ნაგებობის პროექტი, ისევე გამწვანებაც, თუ რა მწვანე ნარგავები იქნება ამა თუ იმ ტერიტორიაზე განაშენიანებული, ნომერ პირველ დანართში არის ჩამონათვალი, ხოლო ნომერ მეორე დანართი განსაზღვრავს რა პროცესში უნდა შეთანხმდეს ეს ნარგავების ნუსხა და ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გამწვანების პროექტის შეთანხმების წესი და პირობები."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია**: „რა აუცილებლობითაა ეს ყოველივე გამოწვეული და რატომ გახდა საჭირო ჩვენი ჩარევა ამ ჩამონათვალით განსაზღვრული მცენარეების დარგვის საკითხში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „როგორც მოგახსენეთ კოდექსში შევიდა ცვლილება და კოდექსმა დაავალა თვითმმართველობები, რომ ეს წესი იყოს მიღებული, აქვე ავღნიშნავ, რომ უკონტროლო იყო ამა თუ იმ ნარგავების განაშენიანება ქალაქის მასშტაბით."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია**: „ჩემს საცხოვრებელ სახლში რა მცენარის დარგვას გადავწყვეტ, ამაზე თუ ვრცელდება აღნიშნული წესი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მ.კუბლაშვილი:** „ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლის ეზოზე რათქმაუნდა არ ვრცელდება ეს წესები."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-12, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, გრიგოლ შუშანიამ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სიის დადგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მ.ხიდაშელმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „როგორც საკრებულოს ინიციატივა გულისხმობდა, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყველა მოსაზრება ამ პროექტში, ათივე ღონისძიებაში ფაქტობრივად მერია 100%-იანი დაფინანსებით შედის პროექტებზე, მეტი მოქნილობისათვის და იმისთვისაც, რომ თანხვედრა მოსახლეობის ინტერესებთან მაქსიმალური იყოს, მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება იქნება მათი პასუხისმგებლობის ნაწილი, რასაც მოამზადებენ და წარმოადგენენ კანონით დადგენილი წესით, ეს იქნება ჩვენთვის სახელმძღვანელო, ამის შემდეგ სამუშაოებს 100 %-ის მერია იღებს თავის თავზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე**: „მაგალითად თუ საუბარია კაპიტალური სახის ღონისძიებებზე, ამ შემთვევაში რა ხდება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი**: „ამ შემთხვევაში მერია შეისწავლის კომისიურად და თუ დგება ამის საჭიროება, თვითონ იყიდის, მაგალითად სახურავის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტს."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია**: „სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები, სარეაბილიტაციო სამუშაოები კეთდება უხარისხოდ, თანხის გამო არალიცენზირებული ხელოსნები მოყავთ, მეორე და მესამე წელს მოდიან ეს მოქალაქეები და კვლავ უკმაყოფილოები მიმართავენ მერიას, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, მთლიანად ხელების დაბანა ამ მიმართულებით არ იქნება სწორი, ჩაბარების დროს ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოების ხარისხის შემოწმების კუთხით ბერკეტი მაინც დავიტოვოთ, მივიდეთ, შევამოწმოთ, მე ასე გავიგე წარმოდგენილი საკითხი და თუ ვცდები მოგისმენთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი**: „საკითხი მდგომარეობს შემდეგში, ჩვენ გამოვაცხადებთ შესყიდვას და სამუშაოებსაც ჩვენ ჩავიბარებთ მათთან ერთად, პრობლემა, რომელზეც ახლა თქვენ საუბრობდით 99% იყო სადარბაზოების შიდა რემონტი, რომელზეც ფაქტიურად მიუღწევადია ამ ნაწილში ჯეროვანი შესრულება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა

რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მ.ხიდაშელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, აღნიშნული განკარგულებით უკვე დამტკიცებული გვქონდა 64 ღონისძიება აქედან 9 მილიონ ლარზე ცოტა მეტი ღირებულების ობიექტებზე მოთხოვნილი გვაქვს დაფინანსება და ველოდებით, ამ ეტაპზე ემატება 65 და 66 პოზიციებზე არსებული ორი ღონისძიება, ესენია მე-11 სპორტული სკოლა ბალახვანში, რასთან დაკავშირებითაც ბატონ გიგას ჰქონდა საუბარი და მე-17 სპორტული სკოლის კრივის და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია**: „აღნიშნულ ორ ობიექტზე ჯერ თანხა არ გვაქვს მოთხოვნილი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ჩვენ გვაქვს მე-17 სპორტულ სკოლის პროექტი, რაც შეეხება მე-11 სპორტულ სკოლას, ამის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ეტაპზე არ გვაქვს, წარმოდგენილი თანხა საორიენტაციოა, გააჩნია პროცესში საინჟინრო ნაწილი სად წაგვიყვანს, მანდ რეგულაციები საკმაოდ მკაცრია, სტანდარტები ძალიან მკაფიოა და ბევრი მოძრაობის საშუალებას არ იძლევა."

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს შევეხები, კალათბურთს ეხება, არ ვიცი ვისი კომპეტენციაა თუმცა ავღნიშნავ, რეაბილიტირდა უნივერსიტეტის დარბაზი, ზამთარში გათბობა არ არის ჩართული იმის გამო, რომ ხელოსნის ადგილზე მიყვანა ვერ მოხერხდა მხოლოდ გაზის დასაერთებლად, სხვა ყველაფერი მზადყოფნაშია და დამონტაჟებულია, ყინვაში თამაშობენ ეს ბავშვები შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ადგილზე ნახოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ეს პროექტი ჩვენ ჩავიბარეთ, ტესტირების ჩათვლით დასრულებულია ფატობრივად, სისტემა უსაფრთხოა, უბრალოდ თვითონ დარბაზს, როდესაც ჩვენ შევედით, არ ჰქონდა მრიცხველი და არ ხდებოდა ბუნებრივი აირის მიწოდება, ახლა ააიპ-ს შეუძლია, რომ უზრუნველყოს სისტემის სისრულეში მოყვანა."

კომისიის წევრი ბატონი **გ.შუშანია:** „მიეწოდოს აღმასრულებელს შესაბამისი წერილობითი მიმართვა აღნიშნული პრობლემის დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე
ბაქარ მახარაძე